

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ)

(სსიპ ქალაქ თბილისის N28 საჯარო სკოლა - გეგმიური მონიტორინგი)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ნატო ოგანეზოვი
წევრი:
ირმა ხმელიძე

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ თბილისის N28 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	203842495

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, ოქროყანა, ი. ჭავჭავაძის ქუჩა N5
საფოსტო ინდექსი	0114
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/390?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20%20%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%20%E1%83%97%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%20%E2%84%9628%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tbilisi28@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	0322 99 95 63

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	2025 წლის 5 ნოემბრის N MES 1 25 0001527617ბრძანება
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	2025 წლის 4-5 დეკემბერი

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2025 წლის 4-5 დეკემბერს, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 5 ნოემბრის MES 1 25 00015276117 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას.
ვიზიტის განმავლობაში ექსპერტები გაეცნენ დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის I,III და IV სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით. ექსპერტებმა შეისწავლეს სკოლის მატერიალური რესურსი, გაეცნენ/განიხილეს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. განხორციელდა ასევე გასაუბრება სასკოლო საზოგადოებასთან. ვიზიტმა ჩაიარა კონსტრუქციულ, საქმიან და მშვიდ ვითარებაში.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა. ექსპერტებთა მიგნებები ეფუძნებოდა მოქმედ კანონმდებლობას და/ან სკოლის მიერ შედგენილ დოკუმენტაციას. უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტების უკუკავშირი სკოლის დირექციის მიერ გაზიარებულ იქნა, ვინაიდან მხარეთა არგუმენტირებული პოზიციები სკოლის მხარდაჭერისა და განვითარებისკენ იყო მიმართული.

ამასთან, ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ გამოავლინა სრული მზაობა მონიტორინგის პროცესთან დაკავშირებით. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს სკოლის მხრიდან ჰქონდა მაქსიმალური მხარდაჭერა, რომ სამუშაო პროცესი წარმართულიყო საქმეზე ორიენტირებულ გარემოში.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
180	131

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილი დასკვნის პროექტზე სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და განახლებული შესაბამისობის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფმა ნაწილობრივ გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია ზოგიერთ ინდიკატორთან დაკავშირებით, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობებთან მიმართებაში. კერძოდ, სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა, რომ 2026 წლის 26 დეკემბრამდე უზრუნველყოფს 4 თანამშრომლის პირად საქმეში ნასამართლობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების განთავსებას. შესაბამისად, ინდიკატორი 3.1.2.3 შეფასდა როგორც მეტწილი.

ასევე, შესაბამისობის გეგმით სკოლამ განსაზღვრა, რომ 2026 წლის 26 დეკემბრამდე სკოლა შექმნის დოკუმენტს, რომელშიც მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდ იქნება განსაზღვრული დოკუმენტის შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის მიერ, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში. თუმცა, ექსპერტთა მიერ დაფიქსირებული ხარვეზის შესაბამისად, სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა, რომელიც ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად, არ ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს, დოკუმენტში არ ჩანს ციკლურობა და შეფასება-მონიტორინგის საკითხი. შესაბამისად, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობა ვერ უზრუნველყოფს ხარვეზის გამოსწორებას. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2026 წლის 26 დეკემბრამდე უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შემუშავება, რომელიც დაეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს და დოკუმენტში ნათლად გამოჩნდება ციკლურობა და შეფასება-მონიტორინგის საკითხი. ინდიკატორი 3.3.1.1 შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

სკოლას პირველადი ავტორიზაციისას წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის გეგმა მესამე სტანდარტის 3.4.1.1 ინდიკატორთან მიმართებით. აღნიშნული შესაბამისობის გეგმით სკოლას განსაზღვრული ჰქონდა, რომ სკოლა უზრუნველყოფდა აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნისა და შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვებას 2024 წლის 01 ნოემბრამდე, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებას შესაბამის ორგანოსთან 2024 წლის 01 მარტამდე და სკოლის ეზოში ღობის მოწყობას 2024 წლის 01 ნოემბრამდე. სკოლის მიერ აღნიშნული რეკომენდაცია შესრულდა ნაწილობრივ, რამდენადაც სკოლამ შესაბამის უწყებასთან შეათანხმა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ნაწილობრივ შემოღობა სკოლის ეზო და მოიპოვა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, რომლის შესაბამისადაც სკოლის სასწავლო კორპუსის(პირველი ფლიგელის) ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და სეისმურ ნორმებთან შეუსაბამო. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულია, რომ სკოლა 2027 წლის 26 დეკემბრამდე მოიპოვებს შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნას, თუმცა, სკოლას არ აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები აღნიშნულ ინდიკატორზე დაფიქსირებულ სხვა ხარვეზებთან დაკავშირებით. შესაბამისად, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2027 წლის 26 დეკემბრამდე უზრუნველყოს სკოლის შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნასთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება და ამასთან ერთად, უზრუნველყოს სასწავლო შენობის პირველი ფლიგელისთვის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დადებითი დასკვნის მოპოვება და სკოლის ტერიტორიის სრულად შემოსაზღვრა მეტალის კონსტრუქციის ღობით, სკოლის ეზოს მიმდებარე ხევისგან უსაფრთხოდ გამიჯვნის მიზნით. ინდიკატორი 3.4.1.1 შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისი.

სკოლამ შესაბამისობის გეგმით ასევე განსაზღვრა, რომ ხარვეზების აღმოსაფხვრელად, რაც გულისხმობს ადაპტირებული საპირფარეშოს არქონას შშმ პირებისათვის და კომპიუტერული ლაბორატორიის არქონას, 2027 წლის 26 დეკემბრამდე სკოლა კვლავ წერილობით ინფორმაციას მიაწოდებს შესაბამის ორგანოებს. ექსპერტთა მოსაზრებით, სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული მხოლოდ ეს აქტივობა ვერ უზრუნველყოფს ხარვეზების გამოსწორებას. შესაბამისად, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს კომპიუტერული ლაბორატორიისა და ადაპტირებული საპირფარეშოს მოწყობა. შესაბამისად, ინდიკატორი 3.5.1.4 და 3.6.1.1 შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისი.

სკოლამ შესაბამისობის გეგმით ასევე განსაზღვრა, რომ 2026 წლის 26 დეკემბრამდე შეიმუშავებს საქმისწარმოების წესს. ექსპერტები არ ეთანხმებიან შესაბამისობის გეგმაში სკოლის მიერ ასახულ ხარვეზის ფორმულირებას, რამდენადაც, სკოლაში ვიზიტის ფარგებში ვერ დადგინდა სკოლაში მოქმედი საქმისწარმოების წესის შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან არა ხარვეზით წარმოდგენილი საქმისწარმოების წესის, არამედ დოკუმენტის წარმოუდგენლობის გამო. შესაბამისად, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 2026 წლის 26 დეკემბრამდე უზრუნველყოს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესის წარმოდგენა. ინდიკატორი 3.6.2.1 შეფასდა როგორც მეტწილი.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის 26 დეკემბრამდე უზრუნველყოს 4 თანამშრომლის პირად საქმეში ნასამართლობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების განთავსება.
3.3.1.1	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2026 წლის 26 დეკემბრამდე უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შემუშავება, რომელიც დაეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს და დოკუმენტში ნათლად გამოჩნდება ციკლურობა და შეფასება-მონიტორინგის საკითხი.
3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2027 წლის 26 დეკემბრამდე უზრუნველყოს სკოლის შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნასთან შესაბამისობის

[2] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	შესახებ დასკვნის მოპოვება; სასწავლო შენობის პირველი ფლიგელისთვის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დადებითი დასკვნის მოპოვება და სკოლის ტერიტორიის სრულად შემოსაზღვრა მეტალის კონსტრუქციის ღობით, სკოლის ეზოს მიმდებარე ხევისგან უსაფრთხოდ გამიჯვნის მიზნით.
3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემო	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრუ ვადაში - 2027 წლის 26 დეკემბრამდე უზრუნველყოს ადაპტირებულ საპირფარეშოს მოწყობა შშმ პირებისთვის.
3.6.1.1	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრუ ვადაში - 2027 წლის 26 დეკემბრამდე უზრუნველყოს კომპიუტერული ლაბორატორიის მოწყობა.

3.6.2.1	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 2026 წლის 26 დეკემბრამდე უზრუნველყოს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესის წარმოდგენა.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	
1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიან ციკლური და ეფუძნება სკოლის მისია ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს დ მიზნების შესაბამის ამოცანებს	**რჩევა:** სასურველია სკოლამ სტრატეგიული გეგმის შესაბამისი ამოცანები/აქტივობები გაწეროს წლების შესაბამისად.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურულ ერთეულების/პირების ფუნქციებ მკაფიოდაა განსაზღვრული	**რჩევა:** სასურველია სკოლამ სტრუქტურაში ასახოს სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშრომელი; აჩვენოს სტრუქტურული დაქვემდებარების სწორი მოდელი; ფუნქციების განმსაზღვრელი დოკუმენტი, სკოლის სტრუქტურა და თანამშრომელთა რეალური საქმიანობა კომპლექსურად მოიყვანოს შესაბამისობაში ერთმანეთთან.
3.4.1.5	სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას	**რჩევა:** სასურველია სკოლამ საპირფარეშოში დაამატოს ხელსაბან ნიჟარა და გოგოების და ბიჭების საპირფარეშოები გამიჯნოს შესაბამის სქესის სიმბოლიკით.
3.5.1.1	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი	**რჩევა:** სკოლამ უზრუნველყოს გარე სპორტული მოედნის მოწესრიგებ

	მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	
3.5.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით	**რჩევა**: სასურველია სკოლამ უზრუნველყოს ბიბლიოთეკ დებულებაში მასალების ელექტრონული აღრიცხვის სისტემ დანერგვა; იხელმძღვანელოს დებულებით გაწერილი წესებ მიხედვით და ბიბლიოთეკაში მასალების ორგანიზება დარბაზ განახორციელოს ანბანური წესით.
3.6.1.2	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად	**რჩევა:** სასურველია სკოლამ ინფორმაციული ტექნოლოგიებ ლაბორატორიისთვის შესაფერისი ფართის გამოყოფამდ მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესში შეიტანოს სკოლ თანამშრომლებისთვის და მოსწავლეებისთვის მოქნილი, პრაქტიკულ ინსტრუქცია და განსაზღვროს წესი ინფორმაციული ტექნოლოგიებ სარგებლობასთან დაკავშირებით.
3.6.2.1	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი	**რჩევა:** სასურველია სკოლამ გამოაცხადოს კონკურსი საქმისმწარმოებლის ვაკანტურ პოზიციაზე.
სტანდარტი 4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	
4.2.3.1	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი	**რჩევა:** სასურველია სკოლამ შეიმუშაოს საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*	*რეკომენდაციის შესრულების სტატუსი*
ინდიკატორი 1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიან ციკლური და ეფუძნება სკოლის მისია ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). (შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს დ მიზნების შესაბამის ამოცანებს	სკოლამ უზრუნველყოს 7 წლიან სტრატეგიული გეგმის შემუშავება, გეგმებ შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშა ჯგუფის მიერ, სტანდარტებთან შესაბამისობ უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრუ ვადებში (01.11.2023 - 01.12.2023)	შესრულებულია
ინდიკატორი 1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სკოლამ უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შემუშავება, გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელშიც აღწერილი იქნება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (01.11.2023 - 15.12.2023)	შესრულებულია
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია	

ინდიკატორი 3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	სკოლამ უზრუნველყოს დოკუმენტის შექმნა, რომელშიც მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდ იქნება განსაზღვრული დოკუმენტის შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის მიერ, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (01.11.2023 - 01.12.2023)	შესრულებულია
ინდიკატორი 3.1.1.2	სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.	სკოლამ უზრუნველყოს დოკუმენტის შექმნა, რომელშიც მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდ იქნება განსაზღვრული დოკუმენტის შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის მიერ, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (01.11.2023 - 01.12.2023)	შესრულებულია
ინდიკატორი 3.1.1.2	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;	სკოლამ უზრუნველყოს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა, დოკუმენტის შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის მიერ, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (01.11.2023 - 01.12.2023)	შესრულებულია
ინდიკატორი 3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის	სკოლამ უზრუნველყოს იდენტიფიცირებული თანამშრომლების მიერ	არ არის შესრულებული

	შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	კანონმდებლობით დადგენილი ცნობების წარმოდგენა. სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (01.11.2023-01.12.2023)	
ინდიკატორი 3.3.1.2	იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;	სკოლამ უზრუნველყოს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირისა და მასზე რეაგირების მექანიზმების შემუშავება. სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (01.11.2023-01.12.2023)	შესრულებულია
3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით	სკოლამ უზრუნველყოს აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის მოპოვება შენობანაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (01.11.2023 - 01.11.2024) - სკოლამ უზრუნველყოს აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის მოპოვება შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (01.11.2023-01.11.2024). - საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის ორგანოსთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (01.11.2023-01.03.2024) სკოლამ უზრუნველყოს ეზოში ღობის მოწყობა	ნაწილობრივ შესრულებულია

	დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (01.11.2023 - 01.11.2024	
ინდიკატორი 3.4.1.4	სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვას	სკოლამ უზრუნველყოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (01.11.2023-15.06.2024)	შესრულებულია

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის მისია და ხედვა, რომელიც ეფუძნება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიაა მშვიდი, ჯანსაღი და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული უსაფრთხო გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა თვითრეალიზაციას და მათი სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას. სკოლის მისიის გათვალისწინებით, სკოლას შემუშავებული აქვს ხედვა, რომლის შესაბამისადაც, სკოლა არის უსაფრთხო, ეკოლოგიური და ხარისხის განვითარებაზე ორიენტირებული საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც მიმდებარე თემს პროფესიონალთა ძლიერი გუნდის დახმარებით და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით, სთავაზობს მოსწავლეზე ორიენტირებულ განათლებას სწავლების სამივე საფეხურზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სსიპ ქალაქ თბილისის N28 საჯარო სკოლა, განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს, რამდენადაც სკოლის მიერ შემუშავებული მისიით, სკოლა აცხადებს, რომ მისთვის პრიორიტეტი სწორედ მშვიდი, ჯანსაღი და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული უსაფრთხო გარემოს შექმნაა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა თვითრეალიზაციას და მათი სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას. ამრიგად, სკოლა იაზრებს როლს, რომ ის მოსწავლეს უნდა აღჭურავდეს იმ უნარებით, რომლებიც საჭიროა სოციალური ინტეგრაციისთვის, წარმატებული ცხოვრებისთვის და საზოგადოების აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბებისთვის. ამასთანავე, სკოლის მიერ შემუშავებულ ხედვაში აქცენტი კეთდება სკოლის უსაფრთხოებაზე. სკოლას გააზრებული აქვს, რომ სკოლის პრიორიტეტი ხარისხიანი განათლების მიცემასთან ერთად, უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების წევრთა როგორც ფიზიკური უსაფრთხოება, ასევე ემოციური, სოციალური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებაში ჩართულობის მიზნით, დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგები ყველა საგნობრივი ჯგუფიდან. აღნიშნულ ჯგუფს დაევალა სკოლის ფილოსოფიის, სტრატეგიული გეგმის პროექტისა და სკოლის სამოქმედო გეგმის SWOT ანალიზი. სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლის ფილოსოფიის პროექტის შემუშავების შემდგომ, სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაცნობა მოხდა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისათვის, მათ შორის, მოსწავლეების, მშობლებისა და სკოლის თანამშრომლებისათვის. მათ მიერ მოწონების შემდეგ კი სკოლამ უზრუნველყო სკოლის ფილოსოფიის დამტკიცება. შესაბამისად, დგინდება, რომ სკოლის ფილოსოფიის შემუშავება განხორციელდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ შემუშავებული ფილოსოფიის გაზიარება მოხდა სასკოლო საზოგადოების მიერ, რამდენადაც სკოლამ მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებამდე შეისწავლა სასკოლო საზოგადოების მოსაზრებები. თანამშრომელთა მიერ აზრის დაფიქსირება მოხდა სამუშაო შეხვედრებზე, ხოლო მშობლებთან გაზიარება განხორციელდა მშობელთა კრებებზე და სკოლის სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფების საშუალებით. სკოლამ დეტალურად გააცნო მათ დოკუმენტები და მხოლოდ მათ მიერ მოწონების შემდეგ დაამტკიცა ისინი. სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით დგინდება, რომ სკოლის ფილოსოფია გაზიარებულ იქნა მათ მიერ.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სსიპ ქალაქ თბილისის N28 საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი სკოლის ვებ გვერდზე და სკოლის შენობაში, თვალსაჩინო ადგილზე. გარდა ამისა, სკოლის ფილოსოფია არის სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი, რაც ასევე

უზრუნველყოფს მის საჯაროდ ხელმისაწვდომობას, რამდენადაც, სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობა ხდება სასკოლო საზოგადოებისათვის ყოველი სასწავლო წლის დაწყებისას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდებაა - სსიპ - ქალაქ თბილისის N28 საჯარო სკოლა, რომელიც შეესაბამება სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების საფუძველზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისია, ხედვა და ღირებულებები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სტრატეგიული გეგმა
- ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ
- სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია
- ბრძანება სკოლის ვებგვერდზეინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლის მიერ შემუშავებული მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა სტრატეგიული დაგეგმვისას აქცენტს აკეთებს თანამონაწილეობის პრინციპზე და უთითებს. რომ სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რაც უზრუნველყოფილია პროცესების სამუშაო ჯგუფის ფორმატში წარმართვით და დაინტერესებულ მხარეებთან დოკუმენტების პროექტების გაზიარებით. სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მიზნით, სტრატეგიული დაგეგმვის პირველი ეტაპი მოიცავს სწორედ სასკოლო საზოგადოების, სკოლის პერსონალის, მშობლების, მოსწავლეების და სხვა დაინტერესებული პირებისაგან ინფორმაციის შეგროვებას. ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის ეტაპზე სამუშაო ჯგუფი ისმენს სასკოლო საზოგადოების შენიშვნებსა და რეკომენდაციებს და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს აღნიშნული რეკომენდაციების საბოლოოდ შემუშავებულ დოკუმენტებში ასახვას. ამრიგად, დგინდება, რომ სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების საშუალებას.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც მოიცავს 2023-2030 წლებს. სტრატეგიული გეგმა არის ციკლური და ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას. სტრატეგიული მიზნები და ამოცანები თანხვედრაშია მისიასთან, ხედვასა და

ღირებულებებთან. მასში განსაზღვრულია მიზნები, ამოცანები, შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები. მოიცავს 9 სტრატეგიულ მიმართულებას. სტრატეგიული განვითარების გეგმა წარმოდგენილია ცხრილის სახით, თუმცა, გეგმით გაწერილი ყველა აქტივობა გათვლილია შვიდივე წელზე. მათ შორის ისეთი აქტივობები, რომელიც არ არის დროში განგრძობადი. მაგ: სკოლის ვებ.გვერდის შექმნა. იმისათვის, რომ სკოლამ სწორად დაგეგმოს ნაბიჯები სტრატეგიული მიზნების რეალიზებისთვის, სასურველია სკოლამ შესაბამისი ამოცანები/აქტივობები გაწეროს წლების შესაბამისად, სკოლის პრიორიტეტების გათვალისწინებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს ასევე სკოლის მიერ ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესის გამარტივებას.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ პირველად ავტორიზაციაზე სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომლითაც სკოლას უნდა უზრუნველეყო 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება, გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის მიერ, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული სამოქმედო გეგმით დგინდება, რომ რეკომენდაცია სრულყოფილად იქნა შესრულებული სკოლის მიერ.

რჩევა: სასურველია სკოლამ სტრატეგიული გეგმის შესაბამისი ამოცანები/აქტივობები გაწეროს წლების შესაბამისად.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი დოკუმენტი, რომლის შემუშავებაც ხდება სკოლის სტრატეგიული გეგმისა და ყოველწლიური თვითშეფასების საფუძველზე. სამოქმედო გეგმის შედგენისას, სკოლას გათვალისწინებული აქვს სტრატეგიული მიზნები და ამოცანები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სკოლა ყოველი სემესტრის ბოლოს, პასუხისმგებელი პირების მიერ წარდგენილი წერილობითი ანგარიშის საფუძველზე ახორციელებს გეგმის მონიტორინგსა და შეფასებას, რომლის ანალიზიც ეხმარება სკოლას უზრუნველყოს გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესრულება და მიზნების მიღწევა სამოქმედო გეგმით გაწერილი აქტივობების საშუალებით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის მიერ შემუშავებულ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მკაფიოდ არის განსაზღვრული სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფს მათ ეფექტურ განხორციელებას. თითოეული აქტივობისთვის დადგენილია კონკრეტული, გაზომვადი ინდიკატორები, რაც შესაძლებლობას იძლევა ობიექტურად შეფასდეს მათი შესრულების ხარისხი და პროგრესი. გეგმაში გაწერილია რეალისტური ვადები, რომლებიც შესაბამისობაშია როგორც სტრატეგიული მიზნების მიღწევის ლოგიკასთან, ისე პრაქტიკულ შესაძლებლობებთან. ასევე, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები და სტრუქტურული ერთეულები, რაც უზრუნველყოფს პროცესის მართვადობას და ანგარიშვალდებულებას.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ პირველად ავტორიზაციაზე სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომლის შესაბამისადაც, სკოლას შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უნდა შეემუშავებინა სამოქმედო გეგმა, რომელშიც აღწერილი უნდა ყოფილიყო სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმით დგინდება, რომ რეკომენდაცია სრულყოფილად იქნა შესრულებული სკოლის მიერ.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სკოლის ფილოსოფიის და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;
- სტრატეგიული გეგმა (2023 -2030 წწ)
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025/26 სასწავლო წლები);
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს. მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, სტარტეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარადგენენ წერილობით ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ და შესაბამის მტკიცებულებებს. მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში ხორციელდება ყოველ 3 წელიწადში და 7 წლის გასვლის შემდეგ, ხოლო ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიში - ყოველი სემესტრის ბოლოს. პასუხისმგებელი პირების მიერ წერილობით წარდგენილი ანგარიშში ასახულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სკოლა ავსებს მეთოლოგოგიით მოცემულ ცხრილს თითოეული აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით და საბოლოოდ, სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით გამართულ გაერთიანებული შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებიან სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, კეთდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი. შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული მიზნების გადახედვას და სამოქმედო გეგმის ცვლილებას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლას სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგი და შეფასება დაგეგმილი აქვს 3 წელიწადში ერთხელ და 7 წლის გასვლის შემდეგ. შესაბამისად, სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს განხორციელებული სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგი. რაც შეეხება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიშს, სკოლა მონიტორინგს ახორციელებს ყოველი სემესტრის ბოლოს. მონიტორინგისა და შეფასების მიზნით, გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარადგენენ წერილობით ანგარიშს, რომელზე დაყრდნობითაც სკოლა ავსებს მეთოლოგოგიის დოკუმენტით გათვალისწინებულ ცხრილს, სადაც თითოეული აქტივობას ენიჭება სტატუსი „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“ ან „არ შესრულდა“. სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში ჩართული პირებით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით იმართება გაერთიანებული შეხვედრა, სადაც კეთდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი. შესაბამისად, დგინდება, რომ სკოლა მეთოდოლოგიის შესაბამისად ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმეფო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას, სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობითა და მათი უკუკავშირის გათვალისწინებით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის მიერ 2024-2025 სასწავლო წლის ბოლოს განხორციელდა სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება. სკოლის ვებგვერდზე საჯაროდ არის განთავსებული სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები. ანგარიში მოიცავდს ინფორმაციას შესრულებული, ნაწილობრივ შესრულებული და შეუსრულებელი აქტივობების შესახებ.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის მიერ შემუშავებულ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, რომლის ფარგლებშიც გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარადგენენ წერილობით ანგარიშს. შეფასების შედეგების ანალიზი კი თავის მხრივ ხელს უწყობს სკოლას გამოიყენოს მიღებული ინფორმაცია შემოდგომი განვითარებისა და წინსვლისათვის. სკოლამ 2024-2025 სასწავლო წლის ბოლოს განახორციელა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შეფასება და შედეგების ანალიზის გათვალისწინებით დაამტკიცა მიმდინარე სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- ბრძანება სტრტეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი სასწავლო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შესახებ;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი სასწავლო სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025/26 სასწავლო წლები);
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სსიპ ქ. თბილისის N28 სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სტრუქტურული ერთეულები საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობენ „ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში და საქართველოს განათლებისა და მეცნირების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სკოლის წესდებით''.

სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა სკოლის სტრუქტურა, რომლის მიხედვითაც სკოლაში სტრუქტურული ერთეულების სახით მოქმედებს: სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, პედაგოგიური საბჭო, 4 საგნობრივი ჯგუფის კათედრა, ესენია:

1. სახელმწიფო ენისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა;
2. მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა დატექნოლოგიების კათედრა;
3. დაწყებითი საფეხურის, სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა;
4. უცხო ენების კათედრა;

ასევე, სკოლის სტრუქტურაში მოცემულია მოსწავლეთა თვითმმართველობა, დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საინფორმაციო მენეჯერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, სკოლის ექიმი. ტექნიკური პერსონალიდან მნე ადმინისტრაციულ პერსონალშია მითითებული.

სტრუქტურაში არ არის შეყვანილი მანდატური, დარაჯი, დამლაგებელი, სსსმ პირის ასისტენტი, ფსიქოლოგი, ენისა და მეტყველების სპეციალისტი, სპეც-მასწავლებელი).

შრომითი ხელშეკრულებებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციებით გათვალისწინებული ფუნქციები შეესაბამება ერთმანეთს. აგრეთვე მასწავლებლების ხელშეკრულებები გაფორმებულია შესაბამისი სტატუსის მიხედვით და სრულყოფილად ითვალისწინებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ მოთხოვნებს.
ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში, რომელიც 2023 წლის 1 დეკემბერს დირექტორის ბრძანება ნ2-167-ით არის დამტკიცებული, მესამე მუხლში გაწერილ სტრუქტურულ ერთეულებში შემავალი ჩამონათვალი არ ემთხვევა სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრუქტურას.
2023 წლის 25 სექტემბერს დირექტორის ბრძანება ნ2-116- ით დამტკიცებულ სკოლაში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დოკუმენტში, რომელშიც სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებია გაწერილი, არ არის მითითებული სამეურვეო საბჭო და მისი ფუნქცია.
ყოველიცე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლას მიეცა **რჩევა:**
სკოლის სტრუქტურაში ასახოს სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშრომელი; აჩვენოს სტრუქტურული დაქვემდებარების სწორი მოდელი; ფუნქციების განმსაზღვრელი დოკუმენტი, სკოლის სტრუქტურა და თანამშრომელთა რეალური საქმიანობა კომპლექსურად მოიყვანოს შესაბამისობაში ერთმანეთთან.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

2023 წლის 1 დეკემბერს დირექტორის ბრძანება ნ2-167-ით არის დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციის დოკუმენტი. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები, ანგარიშ-ვალდებულებები და პასუხისმგებლობები.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა;
- თანამდებობრივი ინსტრუქციის განმსაზღვრელი დოკუმენტი;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დოკუმენტში.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლას პერსონალის მართვის პროცედურები განსაზღვრული აქვს სკოლის დირექტორის ნ 2-121 ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, რომელიც შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის. ასევე, სკოლამ წარმოადგინა შემდეგი დამტკიცებული დოკუმენტები „ სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები“ და „სკოლაში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ დოკუმენტი. აღნიშნულ დოკუმენტებში გაწერილია სკოლაში დასაქმებულ პირთა ფუნქციები, რაც უზრუნველყოფს დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვას ეფექტიანად და კანონთან, დაწესებულების მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან შესაბამისობით.

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს შრომის კოდექსის, სკოლაში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დოკუმენტის, თანამდებობრივი ინსტრუქციის დოკუმენტის, ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად.

სკოლის მიერ ჩატარებული კონკურსების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად დადგინდა, რომ ახალი მასწავლებლის მიღება ხორციელდება კონკურსის გზით teacherjobs.ge-ზე განაცხადით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლა პერსონალის მართვის პროცესში ახორციელებს პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკას. კერძოდ, კადრების ნაკლებობისა თუ ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, სკოლა დროულად აცხადებს ვაკანსიებს და მოქმედებს როგორც კანონმდებლობით, ისე შიდა ბრძანებებით განსაზღვრული ვადების

შესაბამისად.

სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში, საათების გადანაწილება ხდება საგნობრივ კათედრაზე. ხოლო, თუ სკოლას რომელიმე მასწავლებლის ჩანაცვლება სჭირდება ხანგრძლივი პერიოდით და საათობრივი დატვირთვის გათვალისწინებით შეუძლებელია საათები განაწილდეს კათედრის წევრებს შორის, ხდება დროებით თანამშრომლის მიღება. აღნიშნული დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითაც.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის შინაგანაწესით დარეგულირებულია სამუშაო ადგილზე დაგვიანებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში სკოლის ინფორმირების წესი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასტურდება, რომ სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლაში ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატის შერჩევის მიზნით, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის გამოსავლენად სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომელშიც განსაზღვრულია თანამშრომელთა შერჩევის წესი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლაში საგნის ვაკანტური საათების შემთხვევაში გამოცხადდება შიდა, ან ღია კონკურსი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სკოლა აიყვანს შემცვლელ ან მოწვეულ მასწავლებელს.

სკოლის შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც სკოლას გაცხადებული აქვს, რომ ადამიანური რესურსების მოზიდვა და შენარჩუნება წარმოადგენს თანმიმდევრულ პროცესს, აგრეთვე სკოლაში დასაქმების მსურველთა, დასაქმებულთა მიმართ დაწესებულების მიერ წაყენებულ მოთხოვნებს და მათი შესრულების ანალიზს. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმინობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' მოთხოვნათა შესაბამისად. სკოლის საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობით დადგინდა, რომ მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსისას სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება კონკრეტული ვაკანტური პოზიციისადმი წაყენებული საკონკურსო პირობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ, teacherjobs.ge-ზე. დირექტორის ბრძანებით

იქმნება საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობაც განსაძღვრულია კანონმდებლობით. რაც შეეხება სკოლის სხვა პერსონალს, მათი შერჩევა შესაძლებელია როგორც კონკურსის წესით, ასევე დირექტორის მიერ კანდიდატთან გასაუბრების გზით.

პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ყველა თანამშრომლის პირადი საქმე არ იყო სრულყოფილი და ზოგიერთ თანამშრომელს არ ჰქონდა წარმოდგენილი კანონით დადგენილი ცნობები. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც განსაზღვრა, რომ 2026 წლის 26 დეკემბრამდე უზრუნველყოფს 4 თანამშრომლის პირად საქმეში ნასამართლობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების განთავსებას. შესაბამისად,

სკოლას მიეცა **რეკომენდაცია**: შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის 26 დეკემბრამდე უზრუნველყოს 4 თანამშრომლის პირად საქმეში ნასამართლობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების განთავსება.
ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სსიპ ქალაქ თბილისის 28 საჯარო სკოლაში საშტატო ნუსხით დასაქმებულია 23 პედაგოგი, 18 მათგანი უფროსი მასწავლებლის, 5 კი წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მქონეა,ხოლო 1 მენტორ-მასწავლებელია. გარდა ამისა, სკოლაში დასაქმებულია 1 სპეციალური მასწავლებელი. პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. სკოლაში მასწავლებლებთან გაფორმებულია სამი კატეგორიის შრომითი ხელშეკრულება - უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებლის. წამყვან მასწავლებლებს შრომით ხელშეკრულებაში გაწერილია დამატებითი ფუნქციები. სპეციალურ მასწავლებლებთან გაფორმებულია უფროსი სპეციალური მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება. გარდა ხელშეკრულებისა, თანამდებობრივ ინსტრუქციებში გაწერილია ყველა თანამშრომლის მინიმალური კვალიფიკაცია და კონკურსის წესშიც არის ასახული კონკრეტული პოზიციისთვის საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლის მასწავლებელთა ვაკანსიების ელექტრონული განაცხადების გვერდის (https://teacherjobs.ge/) გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლას გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი მასწავლებელთა ვაკანტურ ადგილებზე კანონის სრული დაცვით.

სკოლის სამედიცინო მომსახურების კაბინეტს ემსახურება ორმაგი პროფილის ექიმი პედიატრის და თერაპევტის კვალიფიკაციის მქონე პირი, რომლის პირად საქმეშიც წარმოდგენილია შესაბამისი დიპლომი და სახელმწიფო სერტიფიკატი. სკოლის ექიმი შერჩეულია კანონის სრული დაცვით, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესი''. სკოლამ იხელმძღვანელა კანონის შესაბამისად და აღნიშნულ პოზიციაზე მიიღო შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლაში არსებული საგნობრივი კათედრები ორიენტირებულია გუნდური მუშაობის პრინციპზე. სკოლამ წარმოადგინა კათედრებზე პადაგოგთა შეხვედრების ოქმები სხვადასხვა საკითხში თანამშრომლობასთან დაკავშირებით. სკოლის დირექციასთან და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუს და ასევე წარმოდგენილი დოკუმენტაციების გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ კათედრებზე იგეგმება: სამოქმედო გეგმების შემუშავება, კურიკულუმების შემუშავება/გადახედვა, კათედრის წევრების გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, აქტუალურია კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი. ჩატარებული გაკვეთილების შემდეგ კათედრის სხდომაზე ხდება უკუკავშირის მიცემა და გამოცდილების გაზიარება. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ითვალისწინებენ საუკეთესო პრაქტიკას და ერთმანეთს აძლევენ რეკომენდაციებს. ასევე, სკოლაში შექმნილია თიმსისა და სოციალური ქსელის (facebook) ჯგუფები, სადაც კოლეგებს შორის ინტენსიურად ხდება სიახლეების, ინფორმაციის, დამხმარე რესურსების გაზიარება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლაში არსებობს გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების, უკუკავშირის მიღებისა და პრაქტიკის გაუმჯობესების პრეცენდენტები, სკოლის სოციალურ ქსელში ყოველთვის ხდება სასწავლო პროექტებთან დაკავშირებული წარმატებული პრაქტიკის შესახებ გამოცდილების გაზიარება. სკოლას შემუშავებული და 2025 წლის 27 იანვრის დირექტორის ბრძანება ნ 2-09-ით დამტკიცებული აქვს ხარისხის

განვითარებისა და ჯგუფის მხარდაჭერის დებულების დოკუმენტი, ასევე განსაზღვრული არის სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნა, რომელიც თავის საქმიანობაში ეყრდნობა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ხელშეკრულებები;
- თანამშრომელთა პირადი საქმე;
- სკოლის ვებგვერდი;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ბრძანება;
- სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის დებულების დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ. აღნიშნული დოკუმენტის ამოცანაა, სკოლის ადამიანური რესურსების მართვა; კადრების მოზიდვა და შერჩევა; კანდიდატის საკვალიფიკაციო მოთხოვნების წარმოდგენა; კონკურსის გამოცხადების და კომისიის შექმნის წესის განსაზღვრა; კონკურსის ეტაპების გაწერა; ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის წესები; შეფასებისა და მონიტორინგის ციკლის განსაზღვრა; ასევეა გაწერილი თანამშრომელთა მოტივაციის მეთოდები;

2025 წლის 27 იანვრის დირექტორის ბრძანება ნ2-09-ით სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი რომელიც მოქმედებს შესაბამისი დებულების დოკუმენტის პრინციპებით.

აღნიშნული დებულების მიზნებია: სკოლის ადმინისტრაციის სასწავლო პროცესის ხარისხისა და ორგანიზებასთან დაკავშირებული საქმიანობის შეფასება და ინსტიტუციური განვითარება; მასწავლებლის საქმიანობის შიდა შეფასება; სკოლის დირექციის, ადმინისტრაციის და სასწავლო პროცესის ხარისხის მართვის სამსახურის წევრთა და მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერა. სკოლაში პროფესიული დიალოგის გაძლიერებისა და თანამშრომლობითი კულტურის განვითარების ხელშეწყობა. რომელიც მასწავლებლებს ეხმარება საჭიროებების დადგენასა და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთაში, რომლის მიხედვითაც საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, ასევე სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთავაზებული ტრენინგების ჩამონათვალიდან მასწავლებლები შეარჩევენ სასურველს. სკოლაში არსებობს ურთიერთდასწრების პრაქტიკა, სასკოლო საზოგადოების ზეპირი გამოკითხვები, რის საფუძველზეც დგინდება კონკრეტული საჭიროებები და ხდება შესაბამისი პოზიტიური უკუკავშირის მიცემა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია ხარიხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. გასაუბრებით დადგინდა, რომ ჯგუფი აქტიურად თანამშრომლობს საგნობრივ კათედრებთან და ესწრება პედაგოგთა საგაკვეთილო პროცესს. მოსმენილი გაკვეთილის შესახებ ჯგუფის წევრები აძლევენ პედაგოგს უკუკავშირს, უკუკავშირს განიხილავენ კათედრაზე, ითვალისწინებენ და გასცემენ რეკომენდაციებს, საჭიროებიდან გამომდინარე გეგმავენ შემდეგ აქტივობებს. ხდება ურთიერთდასწრება გამოცდილების გაზიარების მიზნით. ასევე, კვალიფიკაციის ამაღლება ტრენინგებითა და სხვადასხვა აქტივობებით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი და შინაგანაწესი მოიცავს პერსონალისთვის კარიერულ წინსვლაში ხელშეწყობისა და პროფესიონალი კადრების მოზიდვის მექანიზმებს. ასევე, პერსონალის შერჩევას; სამუშაო აღწერილობებს; ორგანიზაციაში ადაპტაციას; პერსონალის შეფასებას; პერსონალის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ჩართულობას; პროფესიულ განვითარებას; წახალისებას და დისციპლინური პასუხისმგებლობას; თანამშრომელთა შორის კომუნიკაციას და არაფორმალურ ურთიერთობებს. შეფასება, როგორც სწავლის საშუალება, პროგრესის მონიტორინგი და მხარდაჭერა, უწყვეტი განათლების სერვისების შეთავაზება, კარიერული წინსვლა ნებაყოფლობითია, თანაბრად ხელმისაწვდომია და დამოკიდებულია კონკრეტული მასწავლებლის სურვილზე. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სკოლამ 2023 წელს პედაგოგი წარადგინა მასწავლებლის ეროვნულ ჯილდოზე. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია თუ როგორ ზრუნავს სკოლა ახალი კადრის ადაპტაციის პროცესზე. გარდა ამისა, დოკუმენტში გაწერილია, თუ როგორ ხდება ახალი თანამშრომლის ადაპტაცია სასკოლო საზოგადოებასთან. საქმისწარმოებლის და კათედრის თავმჯდომარის მიერ ხდება ახალი თანამშრომლის გაწევრიანება სოციალური ქსელის დახურულ

ჯგუფში. ახალ თანამშომელს გასაცნობად გადაეცემა სკოლის შინაგანაწესი. წარმოდგენილი დოკუმენტით და სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს ახალი თანამშრომლის გარემოსთან ინტეგრაციის პრაქტიკაც.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლა ხელმძღვანელობს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით და შინაგანაწესით, სადაც გაწერილია პერსონალის წახალისების ფორმები. დოკუმენტების გაცნობისას გამოიკვეთა, რომ წახალისების მიზნით სკოლას გაწერილი აქვს წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა, ფასიანი საჩუქარი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა:
- საინფორმაციო დაფის ფოტო;
- შინაგანაწესი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება ნ2-103-ით დამტკიცებული ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს რეგულაციებს, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას ხარისხის უზრუნველყოფის დაგეგმვის პროცესში. გარდა ამისა, განსაზღვრავს: ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს/სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ბრძანებითაა განსაზღვრული.

დოკუმენტის მიხედვით სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და შეფასების პროცედურის მიზანია მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც პირდაპირპროპორციულია სკოლის მისიის და საშუალებას იძლევა მიღწეული იქნას საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები. დეტალურად არის გაწერილი ხარისხის ჯგუფის წევრთა მოვალეობები და უფლებები. მოცემულ დოკუმენტში არ არის ნაჩვენები პროცესის ციკლურობა და შეფასება-მონიტორინგის საკითხები.

სკოლას მიეცა **რეკომენდაცია**, 2026 წლის 26 დეკემბრამდე უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შემუშავება, რომელიც დაეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს და დოკუმენტში ნათლად გამოჩნდება ციკლურობა და შეფასება-მონიტორინგის საკითხი.

ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლაში საგანმანათლებლო პროცესების მმართველობაში ჩართულია დირექცია, ადმინისტრაცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები სკოლას აქვს გაწერილი შემუშავებულ დოკუმენტაციაში, როგორიცაა: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, თანამშრომლის მიღების წესი, სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, თანამდებობრივი ინსტრუქციები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლაში თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვა ხდება სკოლის მიერ შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით (2023 წლის 18 სექტემბერს) დამტკიცებული დოკუმენტის „საჩივრისა და განცხადებების განხილვის მექანიზმები“-ს დოკუმენტის შესაბამისად. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას თითოეული კლასის დამრიგებელი ახორციელებს. მოცემულ დოკუმენტში გაწერილია ვის და როდის შეუძლია საჩივრის შეტანა, რა სახით/ფორმით და რა ვადებში. ეს პროცედურები სასკოლო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია, კლასის დამრიგებლები ამის თაობაზე აწვდიან ინფორმაციას მშობლებს, თანამშრომლები დირექციის მიერ ჩატარებულ შეხვედრაზე ეცნობიან ამ ინფორმაციას.

სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც განიხილავს გადაცდომას მასწავლებლის, მოსწავლის ან სკოლის სხვა თანამშრომლის მხრიდან. პროცესები ასევე სკოლის შინაგანაწესითაც რეგულირდება, სადაც მოკლედ არის აღწერილი პროცედურები.

თითოეული მოსწავლის მშობელთან/მეურვესთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები. აღნიშნული დოკუმენტი აგრეთვე ითვალისწინებს სკოლაში მოსწავლის, ან მოსწავლის მეურვის, პერსონალის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურას. სკოლას დეტალურად აქვს განსაზღვრული თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლას აქვს შემუშავებული და დამტკიცებული (2024 წლის 23 ივლისის ნ 2-76 ბრძანებით) მშობელთან ურთიერთობის დებულების(კომუნიკაციის სტრატეგიის) დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია როგორც პერსონალის, ასევე მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. დოკუმენტში ასევე ასახულია მშობელთან, კანონიერ წარმომადგენელთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები, სავალდებულო საგანმანათლებლო-საინფორმაციო თემატური შეხვედრები მშობლებთან, მოსწავლის მშობელთან კომუნიკაციის სტრატეგია და არხები. აღნიშნული დოკუმენტი ეყრდნობა შინაგანაწესს და ამყარებს მას პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის კუთხით.

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლაში სარგებლობენ თავიანთი უფლებითა და თავისუფლებით თანაბრად. თანამშრომელთა და სკოლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. მოსწავლის და მშობლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვისთვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- განცხადებების და საჩივრის განხილვის წესი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- ხელშეკრულებები სკოლის თანამშრომლებთან;
- 7.ხელშეკრულებები მოსწავლის მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან;
- მშობელთან ურთიერთობის დებულების(კომუნიკაციის სტრატეგიის) დოკუმენტი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და დირექციასთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში, იმართება მშობელთა კრებებები, რომლებზეც დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმას, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას. ასევე, აწვდიან ინფორმაციას წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების შესახებ. გარდა ამისა, იმართება დამრიგებლისა და საგნის პედაგოგების შეხვედრები მშობლებთან სხვადასხვა საკითხზე.

სკოლას აქვს შემუშავებული და დამტკიცებული (2024 წლის 23 ივლისის ნ 2-76 ბრძანებით) მშობელთან ურთიერთობის დებულების (კომუნიკაციის სტრატეგიის) დოკუმენტი. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას, ახორციელებს ინფორმირებას, როგორც პირისპირ შეხვედრის დროს, ასევე სოციალური ქსელის საშუალებით (დახურული ჯგუფები). შესაბამისად, მნიშვნელოვანია საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებული უკუკავშირის ანალიზი და მომავალი საქმიანობების შედეგების შესაბამისი მიზნებით განსაზღვრა. ეს არხებია:

- მშობელთა კრებაზე ზოგადი მიმოხილვა (მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა სრული დაცვით);
- შეხვედრა Teams -ის ან Zoom-ის ონლაინ პლათფორმების საშუალებით;
- ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით;
- ყოველდღიური კომენტარები დაწყებითი საფეხურის ფარგლებში განმავითარებელი შეფასების ფორმატით;
- მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრები;
- ელექტრონული ფოსტა და ტელეფონი;
- სოციალური ქსელების მეშუეობით დახურულ ჯგუფებში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სკოლას ასევე აქვს შემუშავებული და დამტკიცებული მშობელთან ურთიერთობის დებულების (კომუნიკაციის სტრატეგიის) დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია როგორც პერსონალის, ასევე მშობლის/კანონიერი წარმომადგენლებთან ურთიერთობის წესები, ფორმატი, პერიოდები. ასევე უკუკავშირის მიღების ფორმები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის მართვის კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების წევრებით. კერძოდ: სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შედიან თითოეული საფეხურის მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული ერთი წარმომადგენელი. ისინი მონაწილეობენ ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში, როგორიცაა სკოლის დირექტორის არჩევა, სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება, საჩივრების განხილვა, პედაგოგიური საბჭოს მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის, სასწავლო მასალის, მათ შორის, გრიფმინიჭებული, პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხის შეთანხმება.

პედაგოგიურ საბჭოში შედიან საგნის მასწავლებლები და სპეციალური მასწავლებლები. პედაგოგიური საბჭო იღებს ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა, თავისი წარმომადგენლის არჩევა დისციპლინურ კომიტეტსა და სამეურვეო საბჭოში და სხვა.

სკოლაში ფუნქციონირებს 4 საგნობრივი კათედრა. საგნობრივ კათედრებში გაერთიანებულები არიან მასწავლებლები საგნების მიხედვით. კათედრები ირჩევენ სახელმძღვანელოებს, კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, განიხილავენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზს.

დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში, თანაბარი რაოდენობით შედიან მასწავლებელი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე. დისციპლინური კომიტეტი უფლებამოსილია განიხილოს დისციპლინური გადაცდომები.

მოსწავლეთა თვითმმართველობა იცავს მოსწავლეთა ინტერესებსა და უფლებებს, ხელს უწყობს სკოლაში არსებული კლუბების ფუნქციონირებას, გეგმავს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, პროექტებს, გამოფენებს და სხვა.

მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან დირექციის წარმომადგენლები და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები.

სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სკოლაში იქმნება სამუშაო ჯგუფი (ისგ), რომლის შემადგენლობაში შედიან საგნის მასწავლებლები, დამრიგებელი და მშობელი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კლასის დამრიგებლების დებულება;
- მშობლებთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი;
- თვითმმართველობის დებულება;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
- 5.კათედრების კრების ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სსიპ ქალაქ თბილისის N28 საჯარო სკოლას აქვს შემუშავებული და 2025 წლის 16 სექტემბრის დირექტორის ბრძანება N2-91 -ით დამტკიცებული აქვს საჯარო სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სფეროში სკოლის სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებული მოქმედების უზრუნველყოფის მიზნით სკოლის დისციპლინარული კომიტეტის დამტკიცების დოკუმენტი.

სკოლაში უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია მანდატურის სამსახური. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას 2 მანდატური კურირებს. აქედან გამომდინარე უსაფრთხოების ნაწილში სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2024 წლის 12 თებერვლის № 24/ნ- ბრძანებით.

სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე უსაფრთხოების დაცვის მიზნით, განთავსებულია 11 ერთეული ვიდეო სათვალთვალო კამერა, აქედან 7 შიდა, ხოლო 4 გარე პერიმეტრზე. დირექციამ აღნიშნა, რომ სრულად ვერ უზრუნველჰყოფს შიდა პერიმეტრების ხედვას ერთ-ერთი კიბის უჯრედში, რომელიც არ ექცევა კამერების ხედვის არეში და აპირებენ სათვალთვალო კამერის დამატებას.

მანდატურთან ერთად, სკოლის ორივე სართულზე და ეზოში მორიგე მასწავლებლები უზრუნველყოფენ წესრიგის დაცვას. სკოლის პირველ სართულზე სასწავლო პროცესის პერიოდში დარაჯი აკონტროლებს ცენტრალურ შესასვლელს და შენობაში შემსვლელ პირებს. ასევე, აღრიცხავს უცხო პირთა გადაადგილებას სარეგისტრაციო ჟურნალში. სკოლას ჰყავს დარაჯი, რომელიც ასევე პასუხისმგებელია სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა გადაადგილების კონტროლზე.

სკოლა ეყრდნობა შინაგანაწესს და შინაგანაწესის შესაბამისად, მოსწავლისა და მასწავლებლის მხრიდან დარღვევის დროს, დირექტორი ახდენს შესაბამის რეაგირებას კანონმდებლობის შესაბამისად.

სკოლაში არ არის შესაბამისად მოწყობილი სახანძრო უსაფრთხოების სისტემა. სკოლამ 2024 წლის 24 ივლისს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს თხოვნით სახანძრო უსაფრთხოების სისტემის პროექტირების დასაფინანსებლად. აღნიშნულს ადასტურებს მიწერილობის დოკუმენტი(MES6240000903364). უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას პირველადი ავტორიზაციისას მიეცა რეკომენდაცია, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა მოეპოვებინა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში. თუმცა, სკოლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო სკოლამ ვერ შეძლო რეკომენდაციის შესრულება. აღნიშნულს ხელი შეუშალა ასევე სახელმწიფო სტრუქტურებში 2025 წელს განხორციელებული რეორგანიზაციამ და ცვლილებებმა.

სკოლას ფიზიკური უსაფრთხოების მიმართულებით შექმნილი და შესაბამის სამსახურთან შეთანხმებული აქვს საევაკუაციო გეგმა. ასევე დირექტორის 2024 წლის 32 ივლისის ბრძანება ნ2-78-ით შექმნილია საგანგებო შტაბი, რომელსაც შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმაში გაწერილია რისკის შემცველ სიტუაციებში პასუხისმგებელი პირები და მათი უფლება-მოვალეობები სიტუაციების შესაბამისად. გეგმა შეთანხმებულია და შესაბამისობით დადასტურებული შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისგან. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას პირველად ავტორიზაციაზე მიეცა ასევე რეკომენდაცია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებასთან დაკავშირებით, რაც სკოლის მიერ შესრულებულ იქნა შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადაში.

სკოლის შენობის ტექნიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ წარმოადგინა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. აღნიშნული დასკვნის მიხედვით:“სკოლის სასწავლო კორპუსის(პირველი ფლიგელის) ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და სეისმურ ნორმებთან შეუსაბამო. დაზიანებები ძირითადად 1-2

ხარისხისაა, მაგრამ ზოგიერთ უბანზე ფიქსირდება მესამე ხარისხის დაზიანებები. შემდგომი ექსპლუატაციისთვის საჭიროა გაძლიერებითი სამუშაოების ჩატარება.“ დასკვნის მიხედვით, შენობის მეორე ფლიგელი ექსპლუატაციისთვის ვარგისია. აღნიშნული დასკვნა ცალსახა ხარვეზია სკოლისთვის. სკოლის შენობას სჭირდება ძირეული რეაბილიტაცია და სარემონტო სამუშაოების ჩატარება, რათა სასწავლო ინფრასტრუქტურა იყოს უსაფრთხო.

სკოლის ეზოს ტერიტორიის გარკვეული ნაწილი შემოღობილია მეტალის მყარი კონსტრუქციის ღობით, მაგრამ ეს საკმარისად ვერ უზრუნველყოფს სკოლის უსაფრთხოებას ეზოში. რადგან სკოლა მდებარეობს ხევის ნაპირას და სკოლის ეზო მკვეთრი დამრეცი დახრით უკავშირდება ხევს, რომლისგანაც რამე ბარიერით არ არის გამიჯნული, საჭიროა ღობის კონსტრუქციის მოწყობა და სკოლის ეზოს ხევისგან გამიჯვნა, რათა მაქსიმალურად იქნას დაცული სასკოლო საზოგადოების ფიზიკური უსაფრთხოება.

სკოლას პირველადი ავტორიზაციისას წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის გეგმა მესამე სტანდარტის 3.4.1.1 ინდიკატორთან მიმართებით. აღნიშნული შესაბამისობის გეგმით სკოლას განსაზღვრული ჰქონდა, რომ სკოლა უზრუნველყოფდა აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნისა და შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვებას 2024 წლის 01 ნოემბრამდე, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებას შესაბამის ორგანოსთან 2024 წლის 01 მარტამდე და სკოლის ეზოში ღობის მოწყობას 2024 წლის 01 ნოემბრამდე. სკოლის მიერ აღნიშნული რეკომენდაცია შესრულდა ნაწილობრივ, რამდენადაც სკოლამ შესაბამის უწყებასთან შეათანხმა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ნაწილობრივ შემოღობა სკოლის ეზო და მოიპოვა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, რომლის შესაბამისადაც სკოლის სასწავლო კორპუსის(პირველი ფლიგელის) ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და სეისმურ ნორმებთან შეუსაბამო. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულია, რომ სკოლა 2027 წლის 26 დეკემბრამდე მოიპოვებს შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნას, თუმცა, სკოლას არ აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები აღნიშნულ ინდიკატორზე დაფიქსირებულ სხვა ხარვეზებთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათალისწინებით, სკოლას მიეცა **რეკომენდაცია**, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2027 წლის 26 დეკემბრამდე უზრუნველყოს სკოლის შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნასთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება, უზრუნველყოს სასწავლო შენობის პირველი ფლიგელისთვის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დადებითი დასკვნის მოპოვება და სკოლის ტერიტორიის სრულად შემოსაზღვრა მეტალის კონსტრუქციის ღობით, სკოლის ეზოს მიმდებარე ხევისგან უსაფრთხოდ გამიჯვნის მიზნით.

ინდიკატორი ნაწილობრივ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში ფუნქციონირებს თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი და ჰყავს ექიმი, რომლის ვალდებულებაა პირველადი დახმარების აღმოჩენა. გადაუდებელ შემთხვევაში, იძახებს გადაუდებელი სასწრაფო დახმარების ბრიგადას (112-ში დარეკვით). სკოლაში სამედიცინო კაბინეტი სრულად არის აღჭურვილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით. აგრეთვე, ექიმის ხელშეკრულებით, ფუნქციების აღმწერი დოკუმენტითა და ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტით გაწერილია სკოლის ექიმის უფლება-მოვალეობები, ვალდებულებები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია მანდატურის სამსახური. სკოლაში უსაფრთხოებას იცავს ორი მანდატური, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ №06/ნ ბრძანების საფუძველზე. სკოლაში დასაქმებულია ორი დარაჯი. სკოლას აგრეთვე შედგენილი აქვს პედაგოგების მორიგეობის სიაც, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალსწინებით სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლას აქვს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც ემსახურება სასკოლო საზოგადოებისათვის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას; სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი,რომელიც საჭიროების შესაბამისად მუშაობს მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებაზე და უზრუნველყოფს სკოლის სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებულ მოქმედებას; ფსიქოლოგთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მოსწავლეთა მიმართვიანობა დახმარებისთის არ არის ხშირი და მისი ძირითადი საჭიროება გამოიხატება სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მიმართულებით. ასევე, სკოლის წარმომადგენლებთან

გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა მართავს საინფორმაციო შეხვედრებს, რომლის მიზანია ძალადობის საწინააღმდეგო ქმედებების შესახებ ცნობიერების ამაღლება, ნაადრევ ქორწინებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა. ასევე სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭოც.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. დამტკიცებულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი სკოლის მიერ 2023 წლის 4 დეკემბერს დირექტორის ბრძანება №2-168- ით. ასევე, სკოლამ წარმოადგინა სანიტარული კვანძების ჟურნალიც. დამტკიცებულ თანამდებობრივ ინსტრუქციებში გაწერილია დიასახლისების სამუშაო ვალდებულებები, დასუფთავების გრაფიკი, სტილი და ხარისხის კონტროლის მექანიზმები. სკოლაში დასაქმებულია საშტატო განრიგით დამტკიცებული ორი , ხოლო სოციალური სამსახურის მხრიდან მომაგრებული 1 . დამლაგებელი. მათთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, სადაც მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მათი ვალდებულებები. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსოში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათა. სკოლა არის ორ სართულიანი შენობა, სადაც პირველ სართულზე არის ერთ სივრცეში სამი საპირფარეშო ოთახი. გოგოების და ბიჭების საპირფარეშები არ არის აღნიშნული სქესის მინიშნებით. ასევე, ორი საპირფარეშოსთის არის ერთ ხელსაბანი ნიჟარა. ერთი გაუქმებულია. შესაბამისად, სკოლას მიეცა **რჩევა,** საპირფარეშოში დაამატოს ხელსაბანი ნიჟარა და გოგოების და ბიჭების საპირფარეშოები გამიჯნოს შესაბამისი სქესის სიმბოლიკით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლის დირექტორის 23/10/2025 -ის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით №2-125-ით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების წევრთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი აწესრიგებს სკოლის მიერ მონაცემთა დამუშავების საკითხებს, ის ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ და სკოლის სახელით მოქმედ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად.

მშობელსა და სკოლას შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს შეთანხმება მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების თაობაზე. სკოლას ჰყავს დანიშნული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც ხელმძღვანელობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის დოკუმენტით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლაში დაცულია ინფორმაცია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების შესახებ. სკოლას აქვს შემუშავებული და დამტკიცებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და დაწესებულება უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე იცავს ელექტრონული ინფორმაციის არაავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა მუდმივად ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების მონიტორინგს და შეფასებას და ასახულ შედეგებს იყენებენ უსაფრთხოების კუთხით გამოკვეთილი პროცესების გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანების და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი;
- საგანგებო შტაბის შექმნის ბრძანება;

- საგანგებო სიტუაციების გეგმის შეთანხმების წერილი;
- წერილი სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობისთვის რესურსების გამოყოფაზე
- ექიმის ხელშეკრულება;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება;
- მასწავლებლების მორიგეობის ცხრილი;
- სკოლის შინაგანაწესი.შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა
3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს ორსართულიან შენობაში. საჯარო რეესტრის მონაცემების გადამოწმების შედეგად (ბოლო ამონაწერი: 08/08/2019 წლის), სკოლის შენობა განთავსებულია 3507.00 კვ.მ. ფართობის არასასოფლო სამეურნეო ნაკვეთზე. შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N01/02/-საერთო ფართობით-1407.28კვმ ; N 03/ შენობა-ნაგებობის ფართობი: 37.16 კვ.მ. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 01.15.07.008.011 (მესაკუთრე - სახელმწიფო).

სკოლის შენობაში მოქმედი 12 საკლასო ოთახია. საკლასო ოთახებში განთავსებულია ერთადგილიანი მერხები და სკამები, მასწავლებლებისათვის განკუთვნილი მაგიდა და სკამი, დაფები და სხვა სასწავლო ინვენტარი. ექიმის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, დირექტორის კაბინეტი და სამასწავლებლო, კანცელარიის ოთახი, რესურს-ოთახი, სათავსო ოთახები, სასაწყობე ოთახი, მანდატურის კაბინეტი, სააქტო დარბაზი, შიდა სპორტული დარბაზი გამოსაცვლელი 2 ოთახით და საშხაპით.
ასევე, სკოლას აქვს გარე სპორტული მოედნის სივრცე, რომელსაც არ იყენებს, რადგან მოედნის საფარი ზედაპირი აცვენილი და მასშტაბურად დაზიანებულია, რკინის ღობეები წაქცეული, რის გამოც საჭიროებს ძირეულ რეაბილიტაციას. შესაბამისად, სკოლას მიეცა **რჩევა,** სკოლამ უზრუნველყოს გარე სპორტული მოედნის მოწესრიგება.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის დირექტორისა და სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებულია მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომლის ძირითადი მიზანია სკოლაში არსებული ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სსიპ ქალაქ თბილისის 28 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა განთავსებულია შენობის მეორე ფლიგელის პირველ სართულზე. სკოლის ბიბლიოთეკის დებულებიდან გამომდინარე, რო,ელიც 2024 წლის 24 ივლისს არის დამტკიცებული სკოლის დირექტორის ბრძანება ნ2-77-ით, მუშაობის მიზანს წარმოადგენს მოსწავლეთა განათლების, კულტურისა და ზოგადი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა, თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისათვის საჭირო რესურსით მომარაგება. ბიბლიოთეკის შესასვლელში გამოკრულია სამუშაო საათები (09:00 საათიდან 17:00 საათამდე) და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკაში წიგნები არ არის ორგანიზებულად განლაგებული კატალოგის მიხედვით და ბიბლიოთეკარი არ ხელმძღვანელობს წიგნების აღრიცხვის ელექტრონული ფორმატით. ბიბლიოთეკის საცავში ინახება დაახლოებით 1500-მდე ერთეული საკითხავი რესურსი. სამკითხველო დარბაზი მოწესრიგებულია და ქმნის მყუდრო და მშვიდ გარემოს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დებულების, საბიბლიოთეკო წესის 12-ე მუხლის მიხედვით, რაც დაცული მასალის აღრიცხვის წესს ეხება, დათვალიერებისას დადგინდა, რომ არ არის სწორად შესრულებული. ასევე, ბიბლიოთეკარი არ იყენებს ელექტრონული აღრიცხვის სისტემას. ეს საკითხი არც დებულებაშია გაწერილი.

სკოლას მიეცა **რჩევა**: სასურველია სკოლამ უზრუნველყოს ბიბლიოთეკის დებულებაში მასალების ელექტრონული აღრიცხვის სისტემის დანერგვა; იხელმძღვანელოს დებულებით გაწერილი წესების მიხედვით და ბიბლიოთეკაში მასალების ორგანიზება დარბაზში განახორციელოს ანბანური წესით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემო**

სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. სკოლას ცენტრალურ შესასვლელთან აქვს ლიფტი, რომელიც უზრუნველყოფს შშმ მოსწავლის შესვლას სკოლაში და გათვლილია, მხოლოდ პირველ სართულზე შესასვლელად.

სკოლის სველი წერტილი განთავსებულია შენობის პირველ სართულზე, მაგრამ არ არის ადაპტირებული შშმ პირთათვის.

სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა, რომ ხარვეზის აღმოსაფხვრელად, რაც გულისხმობს ადაპტირებული საპირფარეშოს არქონას შშმ პირებისათვის, 2027 წლის 26 დეკემბრამდე სკოლა კვლავ წერილობით ინფორმაციას მიაწოდებს შესაბამის ორგანოებს. ექსპერტთა მოსაზრებით, სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული მხოლოდ ეს აქტივობა ვერ უზრუნველყოფს ხარვეზების გამოსწორებას. შესაბამისად, სკოლას მიეცა **რეკომენდაცია:** შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ადაპტირებული საპირფარეშოს მოწყობა.

ინდიკატორი ნაწილობრივ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლა არაფორმალური განათლების მიმართულებით სხვადასხვა კლუბებს და აქტივობას სთავაზობს მოსწავლეებს და ამისთვის იყენებს სკოლის სააქტო დარბაზს, ბიბლიოთეკას, სკოლის ეზოს, საკლასო ოთახებს. მათი ნაწილი ინიცირებულია უშუალოდ მოსწავლეთა ჩართულობით. ამ გზით, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური, შემოქმედებითი, სოციალური და თანამშრომლობითი კომუნიკაციის უნარების განვითარებას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- წერილი ინფრასტრუქტურის სააგენტოს ;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები
3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის ინფრასტრუქტურის დათვალიერებისა და ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესების

წარმართვას სრულფასოვნად. სკოლა აღჭურვილია ინტერნეტით და შენობაში არის Wi-Fi.
საინვენტარიზაციო დოკუმენტით დგინდება, რომ სკოლის ბალანსზე არის 32 კომპიუტერი, 6 პრინტერი, 6 პროექტორი. რომელიც ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე მასწავლებლებისთვის. მაგრამ სკოლას არ აქვს სპეციალურად გამოყოფილი ოთახი კომპიუტერული ლაბორატორიისთვის. ლეპტოპი არ არის ასევე ბიბლიოთეკაში და არც სამასწავლებლოში. საჭიროების შემთხვევაში პედაგოგებს დირექციასთან შეთანხმებით გამოაქვთ კომპიუტერები საცავიდან.
სკოლას არ აქვს კომპიუტერული ლაბორატორია და საერთო სივრცეებში, სამასწავლებლოსა და ბიბლიოთეკაში განთავსებული კომპიუტერები. შესაბამისად, არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, სკოლა ვერ უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ და სასწავლო პროცესის სრულყოფილ წარმართვას.
სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითა განსაზღვრა, რომ ხარვეზის აღმოსაფხვრელად, რაც გულისხმობს კომპიუტერული ლაბორატორიის არქონას, 2027 წლის 26 დეკემბრამდე სკოლა კვლავ წერილობით ინფორმაციას მიაწოდებს შესაბამის ორგანოებს. ექსპერტთა მოსაზრებით, სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული მხოლოდ ეს აქტივობა ვერ უზრუნველყოფს ხარვეზის გამოსწორებას.
შესაბამისად, სკოლას მიეცა **რეკომენდაცია:** შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს კომპიუტერული ლაბორატორიისა მოწყობა.
ინდიკატორი ნაწილობრივ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლის დირექტორის მიერ 2023 წლის 11 დეკემბრის ბრძანებით დამტკიცებულ მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესში განსაზღვრულია ისტ-კაბინეტით სარგებლობის წესიც, რომელსაც სკოლა უნდ ეყრდნობოდეს სამუშაო პროცესში, მაგრამ დირექციასთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ ,რადგან სკოლას არ აქვს შესაბამისად დაცული და აღჭურვილი საკლასო ოთახი, სადაც კომპიუტერებს მოათავსებდნენ, ტექნოლოგიების მოსათავსებლად სარგებლობენ დირექტორის კაბინეტითა და კანცელარიის ოთახით. სკოლის ბალანსზე არსებული კომპიუტერები ინახება სკოლის კანცელარიის ოთახში და დირექტორის კაბინეტში დაცულ ადგილას. საჭიროების შემთხვევაში პედაგოგები თხოვნით მიმართავენ დირექტორს და საკლასო ოთახში ხელით გადააქვთ სამუშაო ლეპტოპები, ხოლო გაკვეთილის დამთავრების შემდეგ მათ ისევ აბრუნებენ დაცულ ადგილას. აღნიშნული, უკვე დამკვიდრებული ტექნოლოგიების მოხმარების წესი, არ არის ასახული მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის დოკუმენტში, რომელიც დირექტორს აქვს დამტკიცებული ბრძანებით.

სკოლას მიეცა **რჩევა**, სასურველია სკოლამ ინფორმაციული ტექნოლოგიების ლაბორატორიისთვის შესაფერისი ფართის გამოყოფამდე,

მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესში შეიტანოს სკოლის თანამშრომლებისთვის და მოსწავლეებისთვის მოქნილი, პრაქტიკული ინსტრუქცია და განსაზღვროს წესი ინფორმაციული ტექნოლოგიებით სარგებლობასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
- ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- კომპიუტერული ტექნიკის მიღება-ჩაბარების აქტი.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული და 2023 წლის 11 აპრილის დირექტორის ბრძანება ნ2-30-ის საფუძველზე დამტკიცებული აქვს სკოლის ერთიანი საქმისწარმოების წესის დოკუმენტი. თუმცა, სკოლას გადმოგზავნილი აქვს მხოლოდ ბრძანება საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ. უშუალოდ საქმისწარმოების წესი სკოლას არც ელექტრონულად და არც სკოლაში ვიზიტისას მატერიალურად არ წამოუდგენია. შესაბამისად, ვერ დგინდება სკოლაში მოქმედი საქმისწარმოების წესის შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან.
უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის პერიოდში არ ჰყავდა საქმისმწარმოებელი და მის ფუნქცია-მოვალეობას კანონის შესაბამისად ახორციელებდა სკოლის დირექტორი. სკოლას teachersjob.ge-ზე, ბოლო მონაცემით, 2023 წლის სექტემბერში გამოცხადებული ჰქონდა საქმისმწარმოებლის ვაკანსია.სკოლის დირექციასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ნოემბრის თვეში სკოლის საქმისმწარმოებელმა პირადი განცხადების საფუძველით დატოვა თანამდებობა. რადგან ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს საქმისმწარმოებლი, ვერ წარმოადგინა საქმისმწარმოებლის წესი და არც ვაკანტურ თანამდებობაზე აქვს კონკურსი გამოცხადებული.
სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა, რომ 2026 წლის 26 დეკემბრამდე შეიმუშავებს საქმისწარმოების წესს.

სკოლას მიეცა **რეკომენდაცია**: შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 2026 წლის 26 დეკემბრამდე უზრუნველყოს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესის წარმოდგენა.
სკოლას მიეცა **რჩევა:** სასურველია სკოლამ გამოაცხადოს კონკურსი საქმისმწარმოებლის ვაკანტურ პოზიციაზე.

ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow)-სახით. სკოლაში, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა, სადაც ხდება ზოგიერთი ინფორმაციის და დოკუმენტის მიიღება.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტები გაეცნენ სკოლის პროფილს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც გაირკვა, სკოლას სრულად აქვს ასახული მონაცემები სკოლის ბარათზე. სრულყოფილია ინფორმაცია მასწავლებლების შესახებაც და ატვირთულია შესაბამისი მტკიცებულებები. სკოლის მიერ შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა, ასევე ხელმისაწვდომია სკოლის პროფილზე.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას. დაწესებულება ძველი თბილისის საგანმანათლებლო რესურსცენტრის შუამდგომლობის საფუძველზე, მიმართავს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს, ასევე, სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სხვადასხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს.
სკოლა ყოველწლიურად, კანონით დადგენილ ვადებში, ყოველი წლის 10 დეკემბერს წარუდგენს ანგარიშს საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს და "საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს".
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესის დამტკიცების დოკუმენტი;
- 2024 წლის 10 დეკემბრის ანგარიშები.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას 2024 წლის 23 ივლისის სკოლის დირექტორის ბრძანება ნ2-76-ით დამტკიცებულია მშობელთან ურთიერთობის დებულების (კომუნიკაციის სტრატეგიის) დოკუმენტი. აღნიშნულ დოკუმენტში მოცემულია მშობლებთან კომუნიკაციის წყაროები, მეთოდები და ღონისძიებები. ასევე, სკოლისა და მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და პასუხისმგებლობები კომუნიკაციების მიმართულებით.

სკოლის სახელზე შექმნილია ოფიციალური პროფილი შემდეგ მისამართზე: https://skolebi.emis.ge/, სადაც სკოლას განთავსებული აქვს შესაბამისი ინფორმაცია და ის ასრულებს აქტიური საკომუნიკაციო საშუალების ფუნქციას. გარდა ამისა სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელ facebook-ს, სადაც გახსნილი აქვს თავისი გვერდი, ასევე სკოლის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც ხდება სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე სიახლეების გამოქვეყნება. დამრიგებლის სამუშაო გეგმა და დებულება განსაზღვრავს დამრიგებლის ვალდებულებას, მუდმივი კომუნიკაცია ჰქონდეს მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან და მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრების, დისციპლინისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ. სკოლის ვებ-გვერდი და სოციალური ქსელი არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ელექტრონულ ჟურნალში, რომელსაც ხედავენ შესაბამისი მასწავლებლები და მშობლები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას და ამისთვის იყენებს ოფიციალურ ვებ. გვერდს (skolebi.emis.ge) სოციალურ ქსელს და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებს. სკოლის ფეისბუქ გვერდის დათვალიერებით, ჩანს რომ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებები, არის სანდო, რამდენადაც ყველა ინფორმაცია გავრცელებულია ოფიციალური გვერდიდან. მოსწავლეებს დროულად მიეწოდებათ ინფორმაცია ოლიმპიადების, კონკურსების, კონფერენციების შესახებ. ასევე, პირველკლასელთა რეგისტრაციის ვადები ეცნობებათ მშობლებს დროულად. ამისათვის გამოიყენება სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტა, საინფორმაციო დაფები, პირდაპირი ან სატელეფონო კომუნიკაცია, დახურული ჯგუფები. სკოლაში მოქმედებს სკოლის დირექტორის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტით (ბრძანება ნ2-76-ი) დამტკიცებული „მშობელთან ურთიერთობის დებულების (კომუნიკაციის სტრატეგიის) დოკუმენტი“.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა საზოგადოებისგან სხვადასხვა არხის საშუალებით იღებს უკუკავშირს და მოცემული ინფორმაციის გაანალიზების შესაბამისად გეგმავს შემდგომ საქმიანობებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის სახელზე შექმნილია ოფიციალური პროფილი (skolebi.emis.ge). სკოლას ვებგვერდზე განთავსებული აქვს შესაბამისი ინფორმაცია ქართულ ენაზე და იგი ასრულებს აქტიური საკომუნიკაციო საშუალების ფუნქციას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულია შემდეგი სახის ინფორმაცია: მისია, ხედვა და ღირებულებები; სტრუქტურა; სკოლის განვითარების 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა; ერთწლიანი სამოქმედო გეგმები; პროგრამები, მხარდაჭერის სერვისები; ქცევის წესები და აპელაციის მექანიზმები; ინფრასტრუქტურა; ფინანსები. აქედან გამომდინარე, სკოლის ვებ გვერდი და სოციალური გვერდი შეიცავს ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის ყველა საჭირო ინფორმაციასა და დოკუმენტს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებგვერდის ლინკი;
- სკოლის ცოციალური ქსელის გვერდი;
- მშობელთან/მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი;
- სადამრიგებლო პროგრამა.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

ამ ეტაპისთვის სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. გარდა ამისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლას ურიცხავს სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილ ფულად სახსრებს, მასწავლებელთა დანამატს.

სკოლა ჯერ კიდევ 2023 წლის იანვარში დეფიციტური ბიუჯეტით შესაბამისი ორგანოდან ითხოვდა რესურსს და უზრუნველყოფდა სკოლის სრულ ფინანსურ დაფინანსებას. სკოლა მცირებიუჯეტიანია და მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის და აქტივობებისთვის შესაბამისი რესურსი არ აქვს. რის გამოც საჭიროებს სახელმწიფო ორგანოების მხარდაჭერას ფინანსური კუთხით. სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანებისთვის მას აქვს შესაბამისი რესურსი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის სისტემა. კერძოდ, სკოლის შესყიდვები ხორციელდება სკოლის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. ყოველი წლის ნოემბრის თვეში დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით მტკიცდება სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი და გეგმის ფორმა, შესყიდვების გეგმა.

შესყიდვებს სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. ყოველი წლის 31 დეკემბრამდე დირექცია ბიუჯეტის პროექტს დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს და მასთან ერთად განიხილავს პრიორიტეტულ საკითხებს. სკოლის დირექტორი პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარის, საგნობრივი კათედრების, ბუღალტრის, დირექტორის

მოადგილის ჩართულობით შეიმუშავებს ფინანსურ და სასწავლო პროცესის შესახებ ანგარიშს, რომელსაც 10 დეკემბრამდე წარუდგენს სკოლის სამეურვეო საბჭოს.

სკოლამ დოკუმენტაციის სახით წარმოადგინა სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026 სასწავლო წლისთვის. ასევე, 2026 წლის საბიუჯეტო განაცხადი და სსიპ ქალაქ თბილისის N28 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 7 სექტემბრის N 5 სხდომაზე განხილული და სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 7 სექტემბრის N 4 სხდომაზე დამტკიცებული 2023-2024 სასწავლო წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ბიუჯეტი;
- ფინანსური ანგარიში სამეურვეო საბჭოს;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2024-2025;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026;
- 2026 წლის საბიუჯეტო განაცხადი;
- სამოქმედო გეგმების მონიტორინგის ანალიზი2024- 2025.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა ხორციელდება სკოლის შიგა რეგულაციების მეშვეობით. კერძოდ, სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი. სმოსწავლეთა უფლებების დაცვას უზრუნველყოფს ასევე მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება, რაც თავის მხრივ ითვალისწინებს მოსწავლის უფლება-მოვალეობების საკითხსაც.

მოსწავლეთა პერსონალური ინფორმაცია დაცულია სკოლის ადმინისტრაციის, ასევე, მასწავლებლებისა და კლასის დამრიგებელთა მხრიდან. მშობელთა კრებების ჩატარების დროს კლასის დამრიგებელი საერთო შეხვედრაზე განიხილავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას.

სკოლას მოსწავლეთა უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად ხელმძღვანელობს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის შესაბამისად. მოსწავლეთა ფიზიკურ უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სკოლას ჰყავს 2 მანდატური და დღის დარაჯი. გარდა ამისა, მოსწავლეთა ჯანმრთელობაზე ზრუნავს კვალიფიციური ექიმი პედიატრი. სკოლას შემუშავებული აქვს ასევე სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი.

სკოლის მმართველობით პროცესებში მონაწილეობის უფლება დაცულია მოსწავლეთა შესაბამისი კოლეგიალური ორგანოების წევრობით. სკოლაში კანონმდებლობის შესაბამისად ტარდება მოსწავლეთა თვითმართველობის არჩევნები. მოსწავლეთა წარმომადგენლები საშუალო საფეხურიდან, შედიან როგორც სამეურვეო საბჭოს, ისე დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში. სკოლაში ფუნქციონირებს ასევე მრჩეველთა საბჭო, სადაც განიხილება საკითხები, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე და ამავდროულად მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს.

მოსწავლეთა სურვილების, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით სკოლა შესაძლებლობის ფარგლებში მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა კლუბებს. მაგალითისათვის, მიმდინარე სასწავლო წელს, მოსწავლეთა თვითმართველობის მოთხოვნის საფუძველზე სკოლაში შეიქმნა სამოქალაქო განათლების კლუბი.

მოსწავლეები ჩართულები არიან სკოლის მართვაში, აქვთ გასაჩივრების უფლება, აქვთ ინფორმაცია საკუთარი უფლებების შესახებ. გარდა ამისა, ბავშვის ერთ-ერთი ფუნდამეტური უფლებაა ხარისხიანი და ინკლუზიური განათლების მიღება. სსსმ მოსწავლეებისთვის ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად, სკოლის ინკლუზიური განათლების გუნდი მუშაობს მოსწავლეთა ინდივივიდუალურ

საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გეგმების შემუშავებაზე და თითოეულ სსსმ მოსწავლეს სთავაზობს შესაბამის საგანმანათლებლო მომსახურებას.
ყოველივე ზემოაღნიშნულით დგინდება, რომ სკოლის შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიები.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა. ამ მიზნით შექმნილია მოსწავლეთა თვიმმართველობა, რომელშიც გაერთიანებული არიან საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები. დამრიგებლები ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კიდევ ერთხელ აცნობენ მოსწავლეებს საკუთარ უფლებებსა და მოვალეობებს. სასკოლო სასწავლო გეგმა, შინაგანაწესი და შიდა რეგულაციები გამოკრულია სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე და სკოლის ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის. გარდა ამისა, შინაგანაწესის გაცნობა ხდება დამრიგებლების მიერ მშობელთა კრებებზე. შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს მშობლები ადასტურებენ ხელმოწერით.

გარდა ამისა, სკოლის შენობაში, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ცხელი ხაზისა და სახალხო დამცველის აპარატის ნომრები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომელშიც ასახულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები, ასევე ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე: მოსწავლის პერსონალურ მონაცემებთა გამოყენება, სასწავლო და უქმე დღეები, მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, დავის გადაწყვეტის წესი, მხარეთა რეკვიზიტები და დამატებითი პირობები. მშობლები ხელმოწერით ადასტურებენ თანხმობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პუნქტების შესრულებაზე. ხელშეკრულება ფორმდება სასწავლო წლის დასაწყისში და ძალაშია სწავლის დასრულებამდე ან მოსწავლის ამორიცხვამდე/სტატუსის შეჩერებამდე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები;
- მშობელთა კრებების ოქმები;
- თვითმმართველობის ოქმები;
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- საჩივრის/განცხადების განხილვის მექანიზმები;
- დამრიგებლის სამუშაო ჟურნალი;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი;
- სამოქალაქო განათლების კლუბის წესდება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სსიპ ქალაქ თბილისის N28 საჯარო სკოლას აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანების დამტკიცების წესის საფუძველზე. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა მოსწავლეთა მობილობის წესი, რომელიც არეგულირებს სკოლიდან მოსწავლის გადასვლას სხვა სკოლაში ან სხვა სკოლიდან მოსწავლის

მიღებას და ასევე მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი, რომლითაც სკოლა განსაზღვრავს მოსწავლის ჩარიცხვის,კლასიდან კლასში გადაყვანისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესსა და პირობებს. სკოლამ ასევე წარმოადგინა მოსწავლეთა ჩარიცხვისა, ამორიცხვის, საფეხურის დაძლევისა და სტატუსის შეჩერებისა ბრძანებები, პედაგოგიური საბჭოს ოქმი. საფეხურის დაძლევა დასტურდება პედაგოგიური საბჭოს ოქმით. მოსწავლეთა მობილობა ხორცირლდება მშობელთა მომართვის საფუძველზე. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით სკოლა ხელმძღვანელობს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილი პროცედურებით. მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი და გაზიარებულია მშობლებისთვის/კანონიერი წარმომადგენლებისთვის, პედაგოგებისთვის და თავად მოსწავლეებისთვის.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა მობილობის წესი, რომელიც არეგულირებს სკოლიდან მოსწავლის გადასვლას სხვა სკოლაში ან სხვა სკოლიდან მოსწავლის მიღებას. სკოლას შემუშავებული აქვს ასევე მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი, რომლითაც განსაზღვრავს მოსწავლის ჩარიცხვის,კლასიდან კლასში გადაყვანისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესსა და პირობებს. აღნიშნული დოკუმენტი ასევე მოიცავს დეტალურ ინფორმაციას უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცედურებთან დაკავშირებით.

სკოლა უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ინფორმირებას სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურების შესახებ. სკოლის მოსწავლეებისა და მშობლებს კლასის დამრიგებლების საშუალებით მიეწოდებათ ინფორმაცია მობილობის განხორციელების, სტატუსის შეჩერება-აღდგენის პროცედურების შესახებ ინდივიდუალურ შეხვედრებზე, სატელეფონო კომუნიკაციისას და მშობელთა კრებებზე. გარდა ამისა, დამრიგებლები მოსწავლეთა მშობლებს სისტემატურად აწვდიან ინფორმაციას გაცდენების შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგის, კერძოდ, სტატუსის შეჩერების შესახებაც.

სკოლის მიერ გამოცემული ბრძანებებისა და მოსწავლეთა პირადი საქმეების შემოწმების დაფუძველზე დგინდება, რომ სკოლა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცესში ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესისა" და სკოლის მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციების შესაბამისად.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სასკოლო სასწავლო გეგმა წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც არეგულირებს სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეებს, პირობებს, პროგრამებსა და მათ სპეციფიკას. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა საჯაროა და ხელმისაწვდომია. ის გამოკრულია სკოლის შენობაში. სკოლის ვებ. გვერდზე კი განთავსებულია მოკლე ინფორმაცია რა მომსახურებას სთავაზობს სკოლა მოსწავლეებს. კერძოდ, რომელი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს, რომელ კლასი რომელ საფეხურს მოიცავს და რა ენაზე მიმდინარეობს სასწავლო პროცესი.

საჯაროა ასევე სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლის ქცევის წესები და მოსწავლის მხრიდან წესრიგის დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებული ზომები, რამდენადაც სკოლას დერეფანში აქვს გამოკრული სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლეთა ქცევის კოდექსი და ბავშვთა უფლებების კონვენცია.

დამრიგებლები ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებსა და მოსწავლეებს გასაცნობად წარუდგენენ სკოლის შინაგანაწესსა და სასკოლო სასწავლო გეგმას. მშობლებსა და მოსწავლეებს აქვთ ინფორმაცია ქცევის წესებისა თუ წლიური გამოცდების შესახებ. მშობლებს აღნიშნული ინფორმაცია ეგზავნებათ სოციალური ქსელების შიდა ჯგუფებშიც. მე-4 კლასის დასრულების შემდეგ, სკოლა მოსწავლეებს/მშობლებს სთავაზობს მეორე უცხოური ენის არჩევას. მშობელთა სურვილი არჩეული ენასთან დაკავშირებით, ფიქსირდება მშობელთა კრების ოქმებში. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ მიმდინარე სასწავლო წელს, მოსწავლეთა/მშობელთა დაფიქსირებული სურვილის გათვალისწინებით მოსწავლეებს შესთავაზა ესპანური ენა და სკოლა უზრუნველყო შესაბამისი კადრით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის პერსონალის მიერ სასკოლო საზოგადოებისათვის მიწოდებული ინფორმაცია არის მუდმივად განახლებული და არადისკრიმინაციული. კლასის დამრიგებლები მოსწავლეებსა და მშობლებს სისტემატურად აწვდიან ინფორმაციას სერვისების, დაგეგმილი ოლიმპიადების, სპორტული აქტივობების, ღონისძიებებისა და განსახორციელებელი პროექტების შესახებ როგორც პირისპირ, საინფორმაციო შეხვედრებზე, ისე სოციალური ქსელის დახურული ჯგუფების საშუალებით.

სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. განცხადებებს პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ სკოლა განათავსებს საინფორმაციო დაფაზე, ზიარდება სკოლის სოციალური ქსელის გვერდზე და სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი;
- მობილობის წესი;
- მოსწავლეთა ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერება-აღდგენისა და საფეხურის დაძლევის ბრძანებები;
- უცხოური ენის არჩევის ოქმი;
- სკოლასა და მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლეთა ქცევის კოდექსი;
- სამოქალაქო განათლების კლუბის წესდება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომლის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმები და მათი განხორციელების პროცედურები. სკოლა დაინტერესებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა თუ მობილობით ჩარიცხული მოსწავლეების ჩართულობა.

საყურადღებოა, რომ სკოლას ინდივიდუალურად აქვს განსაზღვრული პირველკლასელთა ადაპტაცია, სსსმ მოსწავლეთა და მობილობით ჩარიცხულ მოსწავლეთა ადაპტაცია. სკოლა აკვირდება მოსწავლის ადაპტაციის პროცესს და განსაზღვრული აქვს წარმატებული ადაპტაციისა და დეზადაპტაციის ნიშნები. პროცედურულად, მოსწავლის ადაპტაცია ხორციელდება შედეგნაირად: მოსწავლის ადაპტაციის პროცესს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი, რომელიც ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობლებს, აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევების, თავისებურების შესახებ. აცნობს მას საგნის მასწავლებლებს და მოსწავლეებს. თანაკლასელებს ახალი მოსწავლე გაჰყავთ სასკოლო სივრცეში, აცნობენ გარემოს, სკოლის წესებსა და ტრადიციებს. დამრიგებელი მოსწავლეს აცნობს შინაგანაწესს. მოსწავლის კანონიერ წარმომდგენელთან ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.

რაც შეეხება პირველკლასელთა ადაპტაციას, მათი ადაპტაციის პროცესი შეიძლება დაიწყოს ბევრად ადრე. კერძოდ, სკოლის მხრიდან ყოველწლიურად ხორციელდება ვიზიტი სკოლასთან ახლომდებარე საბავშვო ბაღში. ასევე ტრადიციად არის მიღებული სკოლაში ბაღის აღსაზრდელების მიწვევა სხვადასხვა ღონისძიებაზე. სასწავლო წლის დაწყებისას სკოლა აწყობს პირველკლასელების საზეიმო მიღებას წინასწარ მორთულ საკლასო ოთახში. მათ აცნობენ სკოლის შენობას, სკოლის ბიბლიოთეკას, სპორტულ და სააქტო დარბაზებს. ტარდება ასევე შეხვედრები მშობლებთან, სადაც მათ სკოლის წარმომადგენლები აცნობენ სკოლის მიღწევებს, სკოლის სპეციფიკასა და პრიორიტეტებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა აქტიურად მუშაობს მოსწავლეთათვის პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე და მათ ემოციურ მხარდაჭერაზე. აღნიშნული მიზნით, სწავლის დაწყებისას სკოლაში მოსწავლეებსა და მშობლებს ხვდებათ სადღესასწაულო გარემო და საზეიმოდ მორთული საკლასო ოთახები. ტარდება ასევე საზეიმო ღონისძიება.

მოსწავლეთა ადაპტაციის პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ კლასის დამრიგებლებს. ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეების გაცნობასა და დამეგობრებას თანამშრომლობითი აქტივობებით და არაფორმალურ აქტივობებში ჩართვით.

გარდა ამისა, აქტიურად ტარდება საინფორმაციო შეხვედრები მოსწავლეთა მშობლებთან, სიახლეების გაცნობა და ახლად გადმოსული მოსწავლეებისათვის სასკოლო გარემოს გაცნობა. პირველკლასელებისათვის ხდება საზეიმო სივრცის მოწყობა, სახელმძღვანელოებისა და ბუკების გადაცემა ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე. მათ მშობლებს კლასის დამრიგებლები აცნობენ სკოლის შინაგანაწესსა და შიდა სასკოლო რეგულაციებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლის თანამშრომლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთათვის წლიური, საშემოდგომო ან ექსტერნატის გამოცდების დანიშვნის შემთხვევაში, მოსწავლეებს ადმინისტრაციის მხრიდან აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია და მხარდაჭერა. გარდა ამისა, სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია მასწავლებელთა მხრიდან კონსულტაციების გაწევის ვალდებულება აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით, საშემოდგომო და ექსტერნატის გამოცდების, ასევე ოლიმპიადებისა და სხვადასხვა კონკურსებში მონაწილეობის დროს. მოსწავლეებმა იციან, რომ აქვთ უფლება შეფასების ამაღლების მიზნით, მოითხოვონ ნიშნის ასამაღლებელი სემესტრული გამოცდის ჩაბარება.

გარდა ამისა, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის ინფორმაციის მიწოდებას მობილობის უფლების შეზღუდვის, გაცდენების შემთხვევაში ექსტერნის გამოცდის დანიშვნის შესაძლებლობისა და სტატუსის შეჩერების შესახებ. გარდა ამისა, სკოლა მათ აწვდის ინფორმაციას შინ სწავლების უფლების შესაძლებლობის შესახებ. სკოლას აქვს მოსწავლის შინ სწავლებაზე გადაყვანის გამოცდილება.

გარდა ამისა, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს რემედიაციის პროგრამის დებულება, რომლითაც სკოლას განსაზღვრული აქვს რემედიაციის პროგრამის ეტაპები, პროგრამაში ჩასართავ მოსწავლეთა იდენტიფიცირების წესი და სხვა. მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მასწავლებელთათვის დახმარებისთვის მიმართვის შემთხვევაში, მოსწავლეებს აქვთ პედაგოგებისაგან სათანადო კონსულტაციისა და მხარდაჭერის გამოცდილება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

მოსწავლისათვის კანონმდებლობითა დადგენილი უფლებების რეალიზებისთვის, სკოლა ახორციელებს სრულყოფილ ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. მათ შორის, პირველკლასელთა რეგისტრაციის გამოცხადებისთანავე ინფორმაციას ანთავსებს როგორც სოციალური ქსელში, ასევე, სკოლაში საჯარო სივრცეში, რათა მშობლებს შესაძლებლობა მიეცეთ კანონით დადგენილ ვადებში შეძლონ მოსწავლეთა სკოლაში რეგისტრაცია. სკოლა დროულად აწვდის მშობლებს ინფორმაციას მობილობის პროცესის შეზღუდვასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, სკოლა ექსტერნისა თუ საშემოდგომო გამოცდების ჩატარებამდე მოსწავლეებს სთავაზობს საკონსულტაციო შეხვედრებს. სკოლაში მოქმედებს ასევე რემედიაციის წესი, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისება და მხარდაჭერას. სასკოლო პროექტების აქტიური მონაწილეა მოსწავლეთა თვიმმართველობა. სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი, Steam კლუბი, კლუბი „ნეა“. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეებმა წარმატება მოიპოვეს რეგიონალურ კონფერენციაზე, სადაც წარადგინეს Stem კლუბის ფარგლებში შექმნილი მაკეტი. გარდა ამისა, მოსწავლეებს პერიოდულად აქვთ გასვლითი გაკვეთილები. მაგალითისათვის, მიმდინარე სასწავლო წელს მოსწავლეები ესტუმრნენ სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმს. სკოლა ჩართული აქტიურად არის ჩართული საგანამანთლებლო პროექტებში, სხვადასხვა პროგრამებში და სპორტულ შეჯიბრებებში. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, ხშირად აწყობენ სპორტულ ღონისძიებას - „მხიარული სტარტები“. რადგან კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა არ არის დიდი, მოსწავლეები სპორტული აქტივობების ჩატარების მიზნით აქტიურად თანამშრომლობენ ასევე მეზობელ სკოლებთანაც.

სკოლა თანამშრომლობს ასევე ასოციაცია „ანიკასთან“, რომელიც ახორციელებს პროექტს „შშმ ადამიანების შესაძლებლობების პოპულარიზაცია და ინკლუზია კულტურის გზით“. პროექტის ფარგლებში მოსწავლეები ესწრებიან ლექციებს, დგამენ სპექტაკლებს. აღნიშნული პროექტის მიზანი საზოგადოებაში შშმ პირთა შესახებ ცნობიერების ამაღლებაა.

სკოლა მიმდინარე საკლუბო მუშაობის თუ სხვადასხვა პროექტების შესახებ ინფორმაციას პერიოდულად ავრცელებს სოციალური ქსელის გვერდისა და ეტალონთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, საიტზე: Etaloni.ge.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლაში ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, ხდება მათი წინადადებების და ინიციატივების გათვალისწინება და მხარდაჭერა. მშობელთა კრებებზე, ინდივიდუალურ შეხვედრებზე, მოსწავლეებთან გასაუბრების დროს, სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება სხვადასხვა აქტივობები. მაგ. მიმდინარე სასწავლო წელს მოსწავლეთა სურვილისა და ინიციატივის გათვალისწინებით, შეიქმნა სამოქალაქო განათლების კლუბი. ასევე მოსწავლეთა ინიციატივით სკოლაში ტარდება სხვადასხვა სპორტული აქტივობები. მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა საგანმანათლებლო კონკურსებსა და ღონისძიებებში.
სკოლაში დამკვიდრებული არაფორმალური განათლების მიმართულებით პროექტების/აქტივობების განხორციელება ხდება მოსწავლეთა უკუკავშირისა და ინიციატივების გათვალისწინებით, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მოსწავლეთა სწავლის ხარისხის ამაღლებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სამოქალაქო კლუბის დებულებები;
- განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი მასალები;
- მოსწავლეთა თვითმართველობის ოქმები;
- სკოლის სოციალური ქსელის გვერდი.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობის მიზნით, სკოლა სადამრიგებლო საათის ფარგლებში განიხილავს პროფესიის შერჩევასთან დაკავშირებულ საკითხებს. ასევე ატარებენ საინფორმაციო შეხვედრებს სკოლის ბაზაზე, რომლის უმთავრესი მიზანია სკოლისა და ოჯახის კოორდინირებული ქმედებით, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების ხელშეწყობა, გახდნენ აქტიური მოქალაქეები, მოახდინონ საკუთარი შესაძლებლობების იდენტიფიცირება და სწორად შეარჩიონ მომავალი პროფესიები.

მოსწავლეებში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობის მიზნით, სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის კომიტეტთან და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან. აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში, განხორციელდა სკოლის მოსწავლეების ვიზიტი უნივერსიტეტში. ასევე, პროფესიული ორიენტაციის ხელმისაწვდომობის მიზნით, სკოლაში მოწვეული ჰყავდათ სტუმრები სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან და პროფესიული კოლეჯებიდან, რომლებმაც ისაუბრეს პროფესიებზე, შერჩეული პროფესიის სისწორეზე, რამ განაპირობა აღნიშნული პროფესიის არჩევა და ა.შ.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, აცნობს ინფორმაციას გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ინიცირებულ სიახლეებზე, კერძოდ ღია კარის დღეებთან დაკავშირებით, საგამოცდო ფორმატის ცვლილებებსა და ახალ პროგრამებთან დაკავშირებით. ასევე მოსწალეებს აწვდიან ინფორმაციას პროფესიულ სასწავლებლებზე. გარდა ამისა, სკოლა ხელს უწყობს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელსა თუ პროფესიულ სასწავლებელს, მოაწყონ შეხვედრები მოსწავლეებთან და ესაუბრონ მათ პროფესიებსა და სასწავლო პროგრამებზე. ამასთანავე, საბაზო და საშუალო საფეხურის დამრიგებლები ატარებენ კლასის საათებს პროფესიული ორიენტაციის ხელშესაწყობად.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლაში კარიერულ დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს. სკოლა სხვადასხვა დაწესებულებებში ვიზიტებს გეგმავს მოსწავლეების სურვილების და ინტერესების

გათვალისწინებით. სკოლისთვის მნიშვნელოვანია წინასწარ განსაზღვროს, თუ რომელი პროფესიები აინტერესებთ მათ, სად სურთ ვიზიტები, რათა უფრო მიზნობრივი იყოს სკოლის მიერ დაგეგმილი აქტივობები. სკოლა ადგენს ასევე, მათი კურსდამთავრებულები რომელ უნივერსიტეტში ჩაირიცხნენ და რამდენად წარმატებულად აირჩიეს პროფესია, დაეხმარა თუ არა სკოლა ამ არჩევანის გაკეთებაში. მიღებული მონაცემების შეფასების საფუძველზე კი სკოლა შეიმუშავებს მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებულ კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის გეგმას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
- უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში ვიზიტების ამსახველი მასალები.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეთან მუშაობის მექანიზმები, რამდენადაც სკოლას აქვს შესაბამისი ცოდნა, გამოცდილება და მზაობა სსსმ მოსწავლეს გაუწიოს საგანმანათლებლო მომსახურება. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა ქმნის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმას, სადაც გაწერილია გასახორციელებელი აქტივობები, მათი შესრულების ვადებისა და პასუხისმგებელი პირების მითითებით. სკოლაში ჩარიცხული სსსმ მოსწავლეთათვის სკოლა, სპეციალურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების აქტიური ჩართულობით უზრუნველყოფს სასკოლო გეგმის მოდიფიკაციას და საჭიროების შემთხვევაში ალტერნატიული სასწავლო მიზნების შემუშავებას.

სპეციალურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლისათვის სსსმ სტატუსის მინიჭებამდე, სკოლა აკვირდება მოსწავლეს და კანონით დადგენილი წესით ამზადებს მიმართვას მანდატურის სამსახურის ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერ ცენტრთან, მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების მიზნით. მიღებული დასკვნის საფუძველზე მოსწავლეს ენიჭება სტატუსი, რის შემდეგაც სკოლა ქმნის ისგ ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში შედიან

მოსწავლის მშობელი, დამრიგებელი, ყველა იმ საგნის მასწავლებელი, რომელსაც სწავლობს მოსწავლე და დასკვნაში მითითებული სპეციალისტები, რომლებიც თავის მხრივ აქტიურად ერთვებიან მოსწავლეთათვის ინდივიდუალური გეგმის შედგენაში.

სკოლას ჰყავს 3 სსსმ მოსწავლე, რომელთათვისაც სკოლას გამოყოფილი აქვს რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია სათანადო რესურსებით. მოსწავლეთათვის სათანადო საგანმანათლებლო სერვისის მიწოდების მიზნით, სკოლას დასაქმებული ჰყავს სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი, ინდივიდუალური ასისტენტი და ენისა და მეტყველების სპეციალისტი. სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს გუნდური მუშაობის პრინციპზე დაფუძნებული ისგ ჯგუფი, რომელსაც ყველა მოსწავლისათვის შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც განიხილავს მონიტორინგის შედეგებს და წლის ბლოს შეიმუშავებს დასკვნას, რომელსაც უგზავნის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს.

რჩევა: სასურველია სკოლამ შეიმუშაოს საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლაში მოსწავლეთა სპეციალურის საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასება ხორციელდება მშობელთა მიმართვის საფუძველზე კანონით დადგენილი წესით. სკოლა მიღებული დასკვნის საფუძველზე ქმნის ისგ ჯგუფებს, რომლებიც შეიმუშავებენ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმებს. ინდ. გეგმები მორგებულია მოსწავლის საჭიროებებზე, შესაძლებლობასა და უნარებზე. სსსმ მოსწავლეებთან მუშაობს სპეციალური მასწავლებელი სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი, ინდივიდუალური ასისტენტი და ენისა და მეტყველების სპეციალისტი. ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები სისტემატურად უზიარებენ კოლეგებს მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალური მასწავლებლებისა და დირექციის ხელშეწყობით იმართება საინფორმაციო შეხვედრები, ცნობიერების ამაღლების მიზნით.

სკოლას აქვს რესურსოთახი, რომელიც აღჭურვილია მოსწავლეებისათვის საჭირო სასწავლო რესურსით. წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სკოლის თანამშრომლებთან და სსსმ მოსწავლეთა მშობლებთან შეხვედრისას მათ დააფიქსირეს პოზიცია, რომ სპეციალისტების ჩართულობის შემდეგ შეინიშნება მნიშვნელოვანი პროგრესი. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების მხარდაჭერის პროცესზე მეტყველებს მათი აქტიური ჩართულობაც სასკოლო ცხოვრებაში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
- ისგ ჯგუფების შექმნის ბრძანებები;
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ანგარიში;
- ინდ. გეგმები.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ამ ეტაპზე სკოლა მოსწავლეებს არ სთავაზობს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას.
ინდიკატორი სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა ვერ დგინდება.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

ამ ეტაპზე სკოლა მოსწავლეებს არ სთავაზობს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას.
ინდიკატორი სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა ვერ დგინდება.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

ამ ეტაპზე სკოლა მოსწავლეებს არ სთავაზობს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას.
ინდიკატორი სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა ვერ დგინდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი 13.01.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: